ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“
თვიურად ღირს 12,500 მ. სამგლოვიარო განცხადება 15,000 მ.;
კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

№ 34

ფასი 100 მანეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვასილი, ნინა, ალექსანდრე, შალვა და ანდრო მალაშხიები აუწყებენ ნათესავებთ და ნაცნობთ, რომ კვირას, ოქტომბრის 2-ს, პირველთა საყვარელ შვილის და უკანასკნელთა დაუვიწყარი ძმის სამხედრო მფრინავის

გრიშა (გრიგოლ) მალაშხიას

დაღუპვის ორი წლის შესრულების გამო იქნება გადახდილი წირვა და პანაშვიდი დიდუბის იკლესიაში დილის 10 საათზე.

ტრიბუნიდან

22.

ინტელიგენცია სამართველოებში.

საქართველოს სამართველო დაწესებულებანი, რომელნიც როგორც ცენტრში, თავმოყრილია ქ. ტფილისში ჩვენი ხშირად მუშაობასაც ხდეს შეუძლებლად, ინტელიგენციის განსაკუთრებულ ყურადღების საგანია, ეს ყურადღება უფრო იდეური ხასიათისაა, პოლიტიკური შინაარსის. ყოველი ინტელიგენტი მოითხოვს ნაციონალურ სახელმწიფოს, ნაციონალ სამართველოებს, ნაციონალურ რესპუბლიკის ყველა დარგებში ნაციონალ ძალების გამოყენებას. რასაკვირველია ეს სრულიად ამას არ ნიშნავს, რომ ყოველ არა საქართველოს „ჰკა მაგათ!“—დაუპირისპიროთ, რაც არ ხდება არც ერთს კულტურულ ბურჟუაზიულ ქვეყნებში.

ამ საკითხებულო მოთხოვნილების დაკმაყოფილება თავის მხრივ საფუძვლით უნდა იკისროს მართველმა პარტიამ. დაწესებულებების კულტურული ნაციონალიზაცია არა თუ საშიშივე მოსპობს ეგრედწოდებულ ნაციონალურ დემაგოგიას, თვითონ ხალხის ფართო მასა დიდ ზნეობრივ კმაყოფილებას იგრძნობს იმ მოვლენით, რომ მას არც „მოსე მწერლები“ ადარ დასჭირდებიან და არც სხვა ჯურის გადამწერ-გადამთარგმნელნი.

ნაციონალურ მოტივების გატარება უწყებებში უნდა მოხდეს ერთგვარის დაკანონებით, სისასტიკით და ყოველი ცოცხალი ინტელიგენტის ძალა იქმნეს საამისოდ გამოყენებული. იყო მომენტი, როცა პარტია ანგარიშ აქცევდა ინტელიგენტის პსიხიკას, მის პოლიტიკას, თვალსაზრისს, პარტიულობას. დღეს ეს შეხედულობა სამართველოში საჭირო ინტელექტუალური ძალებისადმი ყოველად მიუღებელია. მთავრობა იმდენად მტკიცეა, რომ მას სავსებით შეუძლია მიუდგეს ამ საკითხს წმინდა საქმის, პრაქტიკის თვალსაზრისით. წავიდა ის მომენტი, როცა პარტიული კაცი აუცილებელ საჭიროებად წარმოადგენდა ყოველის საქმეში. ეს ხანა უკვე გაცვლილია, პარტიული კაცი არა თუ არ არის საჭირო, ის კიდეც უნ. და ჩამოვაბაროთ კანცელარშინას, ბიუროკრატიზმს, მოხელეობას, სადაც ეს სწორედ იმიტომაა ნაკლებად სასარგებლო, რომ იგი პარტიულია. პარტიული მასსა სამართველოში ვერასოდეს ვერ იგრძნობს ხელისუფლებისადმი იმ გავლენას, ძალას, სიმკაცრეს, რამდენადაც არა პარტიული და ან უპარტიო ელემენტი. საერთო დისციპლინის პარტიაშიც ფაქტიური ეფექტი ყოველთვის შინაურულად უყურებს თავის მოვალეობას და იგი თუ მაინც და მაინც ასოულებს დისციპლინას პარტიაში ასეთი დისციპლინას პარტიაში, ასეთი დისციპლინა, მას დაკლდება იქ, სადაც პარტიის პირდაპირი საქმე არ არის და თან ასეთი საქმის ნაკლები წარმოდგენა აქვს.

ეს სიტუაციის ნამდვილი მთავარი მიზეზი არ არის. უმთავრესი შემდეგი: რა მრავალრიცხოვანიც არ უნდა იყოს პარტია, მას არასოდეს შეეძლება ყველა სამართველო დარგში, თავისი უმრავლესობის შექმნა. ჩვენში ეს ვერ მოახერხა მენშევიკობამ და ვერ მოახერხებს ბოლშევიზმიც. ამგვარად, სამართველოს გაჯანსაღებისათვის აუცილებელი პირობაა ისეთი მდგომარეობის შექმნა, რომ არა პარტიული მასსა სამართველოში სავსებით ჩაბა, მისადმი ინტერესი გაღვიძოს, ფაქტიურად ჩაკლა ის გრძნობა, რომელსაც „საბოტაჟი“ უძახით. საბოტაჟის გატარება ლაპარაკით კი არ შეიძლება, თავისთავად მოხდება საბოტაჟი, თუ მძიმე ორგანიული მდგომარეობა შეიქმნა სამართველოებში მუშაობისათვის.

მე აქ არ ვაქცევ განსაკუთრებულ ყურადღებას იმ მხარეს, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს შრომის ნაყოფიერობისა და დისციპლინისათვის, მატერიალურ მხარეს. ეს ისე ცხადია, რომ აქ ლაპარაკიც წარმეტია. ხელფასი და ნატურალური მარაგი ისე უმნიშვნელოა ყველა ჯურის მუშაობისათვის, რომ ასეთ პირობების კიდევ შენახვა ადეკვატურ წარმოდგენასაც ადგმატება და რუსეთში უკვე პროექტს იმუშავებენ იქროს ანგარიშები დაუდგენ საფუძველად ხელფასის საკითხს. ვნახოთ ამ სფეროში რა ცვლილება მოხდება.

ნორმალური და არავის პირდაპირი ინტერესი არ აქვს, რომ სამართველოს საქმეში ჩაეგვა.

ამ მეტად მძიმე პირობებს ჩვენ სავსებით ვითვალისწინებთ, მაგრამ მაინც გვინდა მიუთითოთ ჩვენს ინტელიგენციას ამ განსაკუთრებულს მომენტში, განსაკუთრებული თავგამოდებით მუშაობა დაწესებულებებში და მუშაობა ისე პატიოსნად, მუყაითად და მტკიცედ, როგორც ეს შეფერის ქართველს, თავის საქმის სინდისიერად ამსრულებელს. სამართველოში მუშაობა დღეს ისევე დიდი საქმეა და ეროვნული მუშაობაა, როგორც გლეხის მიერ მიწაზე გამგრება და მიწის მუშაობა. მაშინ, როცა ყველაფერი ირყევა, ყველაფერი იცვლება, ეროვნული ინტელიგენციის განსაკუთრებულ ყურადღების საგანია, ეს ყურადღება უფრო იდეური ხასიათისაა, პოლიტიკური შინაარსის. ყოველი ინტელიგენტი მოითხოვს ნაციონალურ სახელმწიფოს, ნაციონალ სამართველოებს, ნაციონალურ რესპუბლიკის ყველა დარგებში ნაციონალ ძალების გამოყენებას. რასაკვირველია ეს სრულიად ამას არ ნიშნავს, რომ ყოველ არა საქართველოს „ჰკა მაგათ!“—დაუპირისპიროთ, რაც არ ხდება არც ერთს კულტურულ ბურჟუაზიულ ქვეყნებში.

ამ საკითხებულო მოთხოვნილების დაკმაყოფილება თავის მხრივ სავსებით უნდა იკისროს მართველმა პარტიამ. დაწესებულებების კულტურული ნაციონალიზაცია არა თუ საშიშივე მოსპობს ეგრედწოდებულ ნაციონალურ დემაგოგიას, თვითონ ხალხის ფართო მასა დიდ ზნეობრივ კმაყოფილებას იგრძნობს იმ მოვლენით, რომ მას არც „მოსე მწერლები“ ადარ დასჭირდებიან და არც სხვა ჯურის გადამწერ-გადამთარგმნელნი.

ნაციონალურ მოტივების გატარება უწყებებში უნდა მოხდეს ერთგვარის დაკანონებით, სისასტიკით და ყოველი ცოცხალი ინტელიგენტის ძალა იქმნეს საამისოდ გამოყენებული. იყო მომენტი, როცა პარტია ანგარიშ აქცევდა ინტელიგენტის პსიხიკას, მის პოლიტიკას, თვალსაზრისს, პარტიულობას. დღეს ეს შეხედულობა სამართველოში საჭირო ინტელექტუალური ძალებისადმი ყოველად მიუღებელია. მთავრობა იმდენად მტკიცეა, რომ მას სავსებით შეუძლია მიუდგეს ამ საკითხს წმინდა საქმის, პრაქტიკის თვალსაზრისით. წავიდა ის მომენტი, როცა პარტიული კაცი აუცილებელ საჭიროებად წარმოადგენდა ყოველის საქმეში. ეს ხანა უკვე განვლილია, პარტიული კაცი არა თუ არ არის საჭირო, ის კიდეც უნ. და ჩამოვაბაროთ კანცელარშინას, ბიუროკრატიზმს, მოხელეობას, სადაც ეს სწორედ იმიტომაა ნაკლებად სასარგებლო, რომ იგი პარტიულია. პარტიული მასსა სამართველოში ვერასოდეს ვერ იგრძნობს ხელისუფლებისადმი იმ გავლენას, ძალას, სიმკაცრეს, რამდენადაც არა პარტიული და ან უპარტიო ელემენტი. საერთო დისციპლინის პარტიაშიც ფაქტიური ეფექტი ყოველთვის შინაურულად უყურებს თავის მოვალეობას და იგი თუ მაინც და მაინც ასოულებს დისციპლინას პარტიაში ასეთი დისციპლინა, მას დაკლდება იქ, სადაც პარტიის პირდაპირი საქმე არ არის და თან ასეთი საქმის ნაკლები წარმოდგენა აქვს.

ეს სიტუაციის ნამდვილი მთავარი მიზეზი არ არის. უმთავრესი შემდეგი: რა მრავალრიცხოვანიც არ უნდა იყოს პარტია, მას არასოდეს შეეძლება ყველა სამართველო დარგში, თავისი უმრავლესობის შექმნა. ჩვენში ეს ვერ მოახერხა მენშევიკობამ და ვერ მოახერხებს ბოლშევიზმიც. ამგვარად, სამართველოს გაჯანსაღებისათვის აუცილებელი პირობაა ისეთი მდგომარეობის შექმნა, რომ არა პარტიული მასსა სამართველოში სავსებით ჩაბა, მისადმი ინტერესი გაღვიძოს, ფაქტიურად ჩაკლა ის გრძნობა, რომელსაც „საბოტაჟი“ უძახით. საბოტაჟის გატარება ლაპარაკით კი არ შეიძლება, თავისთავად მოხდება საბოტაჟი, თუ მძიმე ორგანიული მდგომარეობა შეიქმნა სამართველოებში მუშაობისათვის.

მე აქ არ ვაქცევ განსაკუთრებულ ყურადღებას იმ მხარეს, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს შრომის ნაყოფიერობისა და დისციპლინისათვის, მატერიალურ მხარეს. ეს ისე ცხადია, რომ აქ ლაპარაკიც წარმეტია. ხელფასი და ნატურალური მარაგი ისე უმნიშვნელოა ყველა ჯურის მუშაობისათვის, რომ ასეთ პირობების კიდევ შენახვა ადეკვატურ წარმოდგენასაც ადგმატება და რუსეთში უკვე პროექტს იმუშავებენ იქროს ანგარიშები დაუდგენ საფუძველად ხელფასის საკითხს. ვნახოთ ამ სფეროში რა ცვლილება მოხდება.

ვრესა

ჩვენ შევეცადეთ ოსეთის საკითხი ობიექტიურად გაგვეშუქებია ისტორიული საბუთებისა და სტატისტიკური ცნობების საშუალებით. ჩვენ კარგად ვიცით რანაირ პირობებში გვიხდება მუშაობა და განსაკუთრებული სიფრთხილით ვეკიდებით ყოველგვარ სადავო საკითხს. მაგრამ ეს „იმას არ ნიშნავს, რომ საკითხი დავაბნელოთ, ან გაზეთის ქალალდზე გავსცვალოთ. „გაზ. „კომუნისტი“ კი სწორედ ამ.ს მოითხოვს ჩვენგან. მას არ მოსწონს ჩვენი აზრი ბეკარის, ოფხაზეთის თუ ოსეთის შესახებ, მას ყველგან შოვინიზმი ელანდება ან უნდა სხვას მოალანდოს და ამ საბუთიანობაც ერთხელ გაზეთი დაგვიკეტეთ მხოლოდ; ეს ლმობიერება იყოო.

ეი როგორ მსჯელობს გაზეთი:

„ცილისწამება იქნება ქართველ მშრომელ ხალხს-უწოდოს ვინმემ შოვინისტი, სხვა ეროვნების მოძულე, მაგრამ ცილისწამება იქნება, პირიქით სრული ჭეშმარიტება იქნება ზოგ საარქივო სოციალისტს ვუწოდოთ შოვინისტი, და მაშასადამე მოვეტეცეთ შესაფერისად, არ გავაფუჭებიოთ ქალალდი ეროვნული სიძულვილის გასაღვივებლად, დავახადგეროთ სხვა არქივში, სადაც ის რამდენიმეთ მაინც იგრძნობს მშრომელთა დიქტატურას, რომლის დანიშნულებაა ისეთი მდგომარეობა შეჰქმნას საბჭოთა საქართველოში, რომ მართლა „დოკენის ფარნით“ საძებნი გახდეს ინტელიგენტი-შოვინისტი.

ეს ამონაწერი საკმაოდ ახასიათებს პოზიციას და არავითარი განმარტება არ ესაჭიროება.

ქალთა ორგანიზაციის საკითხი საქართველოში

3

წინა წერილებში ჩვენ აღვნიშნეთ, როგორც ფემინისტური ისტორიის ეპიზოდები ქალთა ორგანიზაციის გარშემო, ისე კაპიტალისტური წყობილების მიერ შექმნილი ახალი ფორმა ქალთა მონობისა. რომელმაც ქალის პიროვნების მონობა კულმინაციურ წერტილამდე მიიყვანა.

თუ საზოგადოდ ქალის ჩაგვრა მისი ფიზიკური ენერგიის ექსპლოატაციაში, პოლიტიკურ უფლებათა შეზღუდვაში და პროსტიტუციის საშინელ ფორმებში ჩაშოყალიბდა, საქართველოს სინამდვილეში ამას ეროვნული ჩაგვრაც ზედ დაერთო.

საქართველო ინდუსტრიალ წარმოების მხრივ პრიმიტიულ ქვეყანას წარმოადგენს. მაშასადამე კაპიტალისტური წარმოების მიერ გამოწვეული ახალი ფორმები ქალთა მონობისა ჩვენში მთელი თავისი სიმძაფრითა და საშინელებით არ შეიძლებოდა ყოფილიყო და არც იყო. მაგრამ თუ ქართველ ქალს ამ მხრივ, ასე ვსთქვათ, არ უგრძვნია დიდი განსაცდელი, მან მთელი თავისი საშინელებით განიცადა ეროვნული მონობის უღელი, რომელმაც მეტად შეარყია ქალის ფიზიკური ცხოვრება.

ეროვნული ჩაგვრა, ეროვნული ბატონობა ეროვნულ ბურჟუაზიას ეძლევა ბაზარი

სწარმოებს მიღებულ ამერიკულ სურსათის ანგარიშზე.

მოსკოვი. 26 სექ. ცარიცინის გუბერნიაში ნათესისათვის ხელს ყრელი წვიმები მოვიდა საზამთრო თესვა მიწებისა სწარმოებს. მოდის განცხადებები თესლის ნაკლებულობის შესახებ.

ჩუვანის ოლქში დამშეულ მცხოვრებთა დახმარების მიზნით სწარმოებს საზოგადოებრივ მუშაობის სასწრაფო ორგანიზაცია.

დასახული საზოგადოებრივი მუშაობა გამოანგარიშებულია 147000 კაცზე და 31500 ცხენზე. ფიქრობენ გამაგრებულ იქმნას ვოლგის სანაპიროები. მაზრებში იქმნება დამზადებული 10 მილის მანძილზე წყლის შესანახი ღარები. ამოშრობილ იქმნება ჭაობები. ფიქრობენ გაატარონ მელიორატიული მუშაობა.

მოსკოვი. 26 სექტ. ჩერნიგოვის გუბერნიაში საგუბერნიო პროდნალგად მოგროვილ იქმნება 240,000 ფუთი ხორბალი.

ბრიანსკი. 22 სექტ. გადასახადების ყველა სურსათიდან ყველაზე უკეთესად სწარმოებს კართოფილის მოგროვება. მისი მოგროვება. მისი მოგროვება ყოველ ორ დღეში ორკეცდება. ორგანოების აპარატი წესიერად აწარმოებს გლეხების მიერ მოტანილ კარტოფილის მიღებას.

დამზადების მსვლელობა. 23 სექტემბრის ცნობებით მთელ რუსეთში, უკრაინის გარდა, დამზადებულია 31 მილიონ ნახევარი ფუთი ხორბალი და სურსათი.

ხარკოვი. 22 სექტ. სახალხო სასურსათო კომისარიატის ცნობით ხორბლეულობის და სურსათის დამზადება უკრაინაში 22 სექტემბრისათვის გამოიხატა 13310690 ფუთ ხორბლის მოგროვებაში.

ხარკოვი. 23 სექტ. უკრაინიდან დაბრუნებული სახალხო სასურსათო კომისარი ვალდიმიროვი აცხადებს შემდეგს:— „ყველაზე მიმდინარე წელს უკეთესი ხარისხის პურს იძლევა, ვიდრე გასულ წელს იძლეოდა, ზუხედულობა ხელისა სასურსათო გადასახადებზე ადგილობრივად საუცხოოდ. მარჯვენა სანაპიროებზე ამ ერთად სწარმოებს განსაკუთრებით დიდი მუშაობა, რომელიც მიუხედავად უშუალო სასურსათო გადასახადთა შედეგებისა ექმნება მნიშვნელოვანი გაჯანმრთელება საბჭოთა—პარტიულ აღმშენებლობით საქმეში. სასურსათო გადასახადის კამპანიის მიმდინარეობა მარჯვენა სანაპიროზე იმედს იძლევა ამ წელს პირველად გვექნება საშუალება არა მარტო აღნიშნისა, არამედ საადმშენებლო პროგრამა რეალურად გადატარდეს ცხოვრებაში და მნიშვნელოვნად გაჯანმრთელოს ჩვენი ეკონომიური ცხოვრება“.

ხარკოვი. 20 ხორბლეულობის მოგროვება პოლტავის გუბერნიაში მიდის საუცხოოდ მიმდინარეობს. სასურსათო გადასახადის მოგროვება დამთავრდება 1 ნოემბერს, 15 დეკემბრის მაგიერ.

უცხოეთი

ოსმალ-ბერძენთა ხელახალი ომი

ათინა (რადიო) მთავრობის პრესა ადასტურებს, რომ დაიწყო მილიტარიზაცია მცირე აზიის საკითხის მშვიდობიანად გადასაჭრელად, მაგრამ „ამასთანავე ერთად აღნიშნავენ, რომ არავითარი მოლაპარაკება არ სწარმოებს ოსმალეთსა და საბერძნეთს შორის უშუალო მოლაპარაკების შესახებ.

აფხაზეთში

ხოხუში (დეპეშით). შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ბრძანებით აღკრძალულია საბჭოთა აფხაზეთში შესვლა. ბრძანება „არ ეხება სომხურის საქმეზე მივლინებულ პირებს, მუშებსა და გლეხებს—მკვიდრ მცხოვრებლებს, რომელთაც აფხაზეთში მკვდ თავისიმეურნეობა, ავადყოფეს, რომლებიც მიდიან სანიტარულ-საკურორტო ბინათებით და კომერსანტებს, რომლებიც აწარმოებენ საგმეებს აფხაზეთის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან.

დადგენილება № 76.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა „ბავშვის კვირის“ მოწყობის შესახებ.

1. მოწყობილ იქნეს „ბავშვის კვირა“ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის გაჭირვეულ და ვოლგის მხრის დამშეულ ბავშვებისათვის დახმარების ადმოსაჩენად.

2. „ბავშვის კვირა“ დაინიშნოს 1921 წ. ოქტომბრის 15 დან 22 მდე.

3. „ბავშვის კვირის“ განსამართავად დაარსდეს კომიტეტები, რევოლიუციონური კომიტეტებისა, კომუნისტური პარტიისა, სასურსათო კომიტეტებისა, ჯანმრთელობის განყოფილებათა და განათლების დაწესებულებათა არმომადგენლებისგან ... ...